

BEEF MAX CONCENTRATE 43%

სახორცე პირუტყვის კონცენტრატი

რა არის BEEF MAX კონცენტრატი?

BEEF MAX კონცენტრატი დამზადებულია საქართველოში „ნუტრიმაქსი“-ს მიერ, რომელიც შეიცავს ყველა აუცილებელ საზრდო ნივთიერებას, რაც უზრუნველყოფს ჯანმრთელი პირუტყვის გამოზრდას და მაქსიმალური დღიური წონამატის მიღებას.

BEEF MAX კონცენტრატი არის მაღალპროტეინოვანი დანამატი მეხორცეული საქონლისთვის, რომელიც გამოიყენება სახორცე პირუტყვის გამოსაზრდელად „ტრადიციულ“ და მთელმარცვლიანი სიმინდით კვების მეთოდებში ჩასართავად.

რატომ BEEF MAX კონცენტრატი?

BEEF MAX კონცენტრატი დამზადებულია სპეციალური გრანულირების ტექნოლოგიით, რაც უზრუნველყოფს საკვების მაქსიმალურ ათვისებას;

BEEF MAX კონცენტრატი დამზადებულია საქართველოში, რაც ხდის პროდუქტს მეტად სტაბილურს და ხელმისაწვდომს;

BEEF MAX კონცენტრატის გრანულების სიმყარე და ხარისხი განაპირობებს საკვების მინიმალური დანაკარგებით მიწოდებას პირუტყვამდე;

BEEF MAX კონცენტრატი დამზადებულია მცენარეული წარმოშობის ნედლეულზე, რომელიც უზრუნველყოფს პირუტყვის ჯანმრთელობას და ხარისხიანი ხორცის მიღებას;

BEEF MAX კონცენტრატის მარტივი დოზირება და სტაბილური რაციონი აადვილებს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოზრდის პროცესს.

მოხმარების წესი

BEEF MAX კონცენტრატი არის სპეციალურად შემუშავებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სახორცედ გამოსაზრდელად მთელმარცვლიანი სიმინდით და პროტეინოვანი კონცენტრატით.

პროტეინოვანი კონცენტრატის გამოყენება კომბინირებული საკვების დასამზადებლად;

პროტეინოვანი კონცენტრატი ემატება მარცვლეულითა და თივით შედგენილ ნებისმიერ ულუფას (მარცვლეულში იგულისხმება: სიმინდი, ქერი, ქათო, ხორბალი);

პირუტყვი გამოკვებეთ ჩვეულებრივ, მხოლოდ მარცვლეულის ნაერთს შეურიეთ პროტეინოვანი კონცენტრატი ერთ სულზე 500-დან 1 000 გრამის ოდენობით;

კონცენტრატის მოხმარების შემდეგ პირუტყვს მიანოდეთ თივა;

პროტეინოვანი კონცენტრატის გამოყენების შემდეგ ნებისმიერი სახის შროტეულის (სოიოს შროტი, მგესუმზირის კოპტონი) გამოყენება აღარ არის მიზანშეწონილი;

რეკომენდირებული დღიური 500 - 1 000 გრამი პროტეინოვანი კონცენტრატის გამოყენებამდე, აუცილებელია პირუტყვის შეჩვევა ახალ საკვებთან ორი კვირის განმავლობაში;

ახალ საკვებთან შეჩვევის პერიოდში პირუტყვის კვებისას გამოიყენეთ ყოველდღიურად 300 გრ. პროტეინოვანი კონცენტრატი, მეორე კვირას ყოველდღიურად 400გრ, ხოლო გარდამავალი პერიოდის (14 დღე) შემდეგ შეგიძლიათ პროტეინოვანი კონცენტრატის გამოყენება 500 - 1 000 გრამის ოდენობით.

პროტეინოვანი კონცენტრატის გამოყენება მთელმარცვლიან სიმინდთან ერთად

კონცენტრატით და მთელმარცვლიანი სიმინდით პირუტყვის გამოზრდა ყველაზე ეფექტური მეთოდია. აღნიშნული კვების მეთოდის გამოყენებისას მნიშვნელოვანია პირუტყვის ახალ საკვებთან შეჩვევისა და გამოზრდის პერიოდების სწორი მართვა.

ახალ საკვებთან შეჩვევის პერიოდი გრძელდება 15-20 დღის მანძილზე, მოიცავს სამ ეტაპს და გულისხმობს თივის ჩანაცვლებას მთელმარცვლიანი სიმინდითა და კონცენტრატით.

(გარდამავალი პერიოდის სამი ეტაპი მოცემულია ცხრილის სახით)

ახალ საკვებთან შეჩვევის ეტაპები				
ეტაპი	დღე	კონცენტრატი %	სიმინდი %	თივა %
1	1-5	5	25	70
2	6-10	7	43	50
3	11-15	10	60	30
4	16 დღიან დაკვლამდე კონცენტრატი + მთელმარცვლოვანი სიმინდი			

მაგალითად, პირველი ეტაპისთვის 10კგ საკვების მოსამზადებლად 0,5კგ კონცენტრატი, 2,5კგ სიმინდი, 7კგ თივა

გამოზრდის პერიოდი გულისხმობს კონცენტრატითა და მთელმარცვლიანი სიმინდით პირუტყვის ნებაზე გამოკვებას გამოზრდის მთელს პერიოდში. (მთელმარცვლიანი სიმინდის და კონცენტრატის შერევის თანაფარდობა მოცემულია ცხრილში)

გამოზრდის პერიოდში მთელმარცვლიანი სიმინდის და კონცენტრატის შერევის ცხრილი			
ეტაპი	ცოცხალი წონა, კგ	კონცენტრატი %	სიმინდი %
1	70-120	20	80
2	120-180	15	85
3	180-დან დაკვლამდე	10	90

გაითვალისწინეთ!

BEEF MAX პროკონცენტრატი გამოიყენეთ 70 კგ ცოცხალი წონიდან საქონელში და ასხლეტიდან 1 თვის შემდეგ, ასევე გამოზრდის პერიოდში პირუტყვს უნდა ჰქონდეს წვდომა სუფთა სასმელ წყალთან ნებაზე, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

შენახვის ვადა: დამზადებიდან 6 თვე (შენახვის წესების დაცვის შემთხვევაში).

შენახვის წესი: მშრალი, გრილი და მზისგან დაცული ადგილი.

შეფუთვა: 25კგ პოლიპროპილენის ტომარა.